ოქმი:**ო12. 3726208001**

თარიღი:**27/07/2026**

ოქმი N 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 24 ივლისი

ქ.ოზურგეთი

14:00 -15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, დ. ხურციძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ზ. სურგულაძე, ნ. ჭანიშვილი, გ. კალანდაძე, ე. წუწუნავა, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N 12 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: ლელა ვასაძე

მარიამ დარჩია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: მარიამ დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგში

წარმოდგენილი პირველი საკითხი. თანამომხსენებლებმა ლ. ვასაძემ და მ. დარჩიამ ისაუბრეს ბიუჯეტის იმ ცვლილებებზე, რომლებიც ეხებოდა თავიანთი საკურატორო დარგების დაფინანსებას, კერძოდ ლ. ვასაძემ ილაპარაკა საგანმანათლებლო სფეროში-გრანტების მიმღები აბიტურიენტების, სკოლების, მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოების კუთხით პროექტით განსაზრვრულ ცვლილებებზე, ხოლო მ. დარჩიამ ე.წ. „დღის ცენტრი“-ს დაფინანსებაში შეტანილ ცვლილებებზე, აღნიშნა, რომ მერიამ გაითვალისწინა საკრებულოს შენიშვნა და დაფინანსდა 25 ბენეფიციარი, ასევე 25 ბენეფიციარზე გამოიყო საზაფხულო დასვენებისათვის თანხა თითოეულზე 520 ლარის ოდენობით, ისაუბრა ბავშვთა განყოფილების დაფინანსების პრობლემის გადაჭრის მიზნით განხორციელებულ ცვლილებებზე. კომისიის წვრმა ხ. ცერცვაძემ დასვა შეკითხვა-ბენეფიციარი ბავშვის მშობელმა რა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს დაფინანსების მისაღებად? განუმარტეს, რომ სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზაციის მიერ გაცემული კალკულაცია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას - დადგენილების ცვლილებების პროექტი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგში წარმოდგენილი მეორე საკითხი, თანამომხსენებელმა მ. დარჩიამ კომისიის წევრებს გააცნო ის ცვლილებები, რომლებიც შევიდა არსებულ დადგენილებაში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს -დადგენილების პროექტი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილვისა და დამტკიცების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი